ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N13 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.17.12.003.236) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლი N15) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში

ობიექტის მისამართი - ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი ქ.N13 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.17.12.003.236);

ობიექტის სტატუსი/ფუნქციური დანიშნულება - საპროექტო/ საცხოვრებელი სახლი;

ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - IV კლასი;

ექსპერტიზის სახე - საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა;

ექსპერტიზის დამნიშნავი - ფიზიკური/იურიდიული პირი _ შპს „ჯეი 1“ ს/კ 405000207;

შემსრულებელი ექსპერტი _ დამოუკიდებელი ექსპერტი, საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი ჯუმბერ ვაშაკიძე (პ/ნ:01015020228).

ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები _ ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N13 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.17.12.003.236) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პერიოდში, შესაძლო ზეგავლენის ხარისხის შესწავლა 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობებზე და შესაბამისი დასკვნის მომზადება;

ექპერტიზაზე წარმოდგენილი ან/და ექსპერტის მიერ მოძიებული დოკუმენტაცია:

1) პროექტის არქიტექტურული ნაწილი, შენობის კონსტრუქციული პროექტი;

2) მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

3) მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა;

4) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემები;

გამოყენებული ნორმატიული აქტები და სხვა სახელმძღვანელო ლიტერატურა:

1) სნ და წ. პნ 01.01-09 “სეისმომედეგი მშენებლობა”

2) სნ და წ. პნ 02.01.-08 “შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები”

3) СНиП 2.02.01-83 Основания зданий и сооружений;

კვლევა _ ჩემს მიერ, შემოწმება ჩაუტარდა ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირზე ქ.N13 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.17.12.003.236) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშოების ჩატარების მიზანშეწონილობას, ამასთან გადამოწმდა 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა სამშენებლო სამუშაოების მომდინარეობისა და საპროექტო შენობის შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში, მათზე რაიმე სახის შესაძლო უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საპროექტო ტერიტორია გამოირჩევა სწორი რელიეფით, საპროექტო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის ნაწილს. აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს რვა სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. გენერალური გეგმით გათვალისწინებულია 17 საცხოვრებელი კორპუსის აშენება, რომელთაგან 12 სახლის მშენებლობა ფაქტობრივად დასრულებულია ან ბოლო ეტაპზეა.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანები - არგილიტები, ქვიშაქვების თხელი იშვიათი შუაშრეებით, ნაკლებად გამოფიტული, სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_c = 60.0 კგძ/სმ^2. გრუნტის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხილეთ პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო- გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა- 85კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

საპროექტო შენობა გეგმაში მარტივი კონფიგურაციისაა, ზომები ღერძებში 39,60x 12,60 მ. შენობა შვიდ სართულიანია, სარდაფის სართულის გარეშე, აქვს მანსარდის სართული.

ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებული რ.ბ. მონოლითური ჩარჩოები, მონოლითური სართულშუა, სასხვენო გადახურვებითა და წვრილი ბლოკების წყობის კედლებით.

საძირკვლის ტიპად წარმოდგენილია, ნაბურღ-ნატენი მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯი, დიამეტრით Ø900 მმ. შეკრულია მონოლითური რკინაბეტონის ფილითა (სიმაღლით 16 სმ) და რანდკოჭებით. ბეტონის კლასით B30,0. ჩაღრმავების მიხედვით ხიმინჯოვანი საძირკველი განლაგებულია ერთ დონეზე.

სვეტები, მონოლითური რკინაბეტონის კვეთით, 40x40 სმ; ბეტონის კლასით B30.

ოთხი სართულის ჩათვლით, დანარჩენი ზედა სართულები B22,5.

რიგელები, მონოლითური რკინაბეტონის კვეთით 30x60 სმ; ფილის 17 სმ. სისქის ჩათვლით.

ბეტონის კლასით B22,5.

გადახურვის ფილა, მონოლითური რკინაბეტონის 17 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B22,5.

სიხისტის დიაფრაგმები და ლიფტის შახტის კედლები, მონოლითური რკინაბეტონის, სისქით 200 მმ. ბეტონის კლასით B30. ოთხი სართულის ჩათვლით, დანარჩენი ზედა სართულები B22,5.

კიბეები, მონოლითური რკინაბეტონის 15 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B22,5.

სახურავის გადახურვა, ხის კონსტრუქციები.

თავიდნვე შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ტიპის, მაღალი მზიდუნარიანობის მქონე ქანებზე შენობა-ნაგებობების დაფუძნება, ზოგადად მიმდებარე/მომიჯნავე ტერიტორიებზე მდებარე შენობების ფუძე-საძირკვლებზე უმნიშვნელო ან საერთოდ ნულოვანი ზეგავლენებით ხასითდებიან.

ჩემს მიერ, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე საპროექტო შენობის 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობების განხილვა მოხდა განცალკევებით. კერძოდ:

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.12.003.238 - მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება მშენებარე რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი. შესასწავლი საპროექტო შენობა მას სამხრეთის მხრიდან ემიჯნება და მათ შორის მანძილი - 20,00 მეტრია.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.12.003.258 - მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობა არ ფიქსირდება;

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.12.003.058 - მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება 4 სართულიანი შენობა. შესასწავლი საპროექტო შენობა მას ჩრდილოეთის მხრიდან ემიჯნება და მათ შორის მანძილი - 45,00 მეტრამდეა.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.12.003.204 - მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება სამსართულიანი საოფისე/ადმინისტრაციული შენობა, საპროექტო შენობიდან დასავლეთით 16,00-17,00 მეტრის მანძილზე. როგორც ზემოთ ავღნიშნე საპროექტო შენობის ხიმინჯოვანი საძირკველი ფუძნდება 19,00 მეტრის სიღრმეზე, მაღალი მზიდუნარიანობის მქონე ქანებზე, გამომდინარე აქედან მისი ზეგავლენა და შესაბამისად დაზიანების ზარისხი ნულამდეა დაყვანილი.

დასკვნა - ქ.თბილისი, მოსკოვის გამზ.N13-ში (მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.12.003.236) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება მიზანშეწონილად მიმაჩნია. დაგეგმილი სამუშაოების ლოკაციის მომიჯნავედ მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობებზე, მათი სამონტაჟო არეალიდან მოცემული დაშორების გამო, უარყოფით ზეგავლენა და შესაბამისად დაზიანების ხარისხი ფაქტობრივად ნულამდეა დაყვანილი. ასევე შემიძლია ვთქვა, რომ მიწის ნაკვეთი მდგრადი გეომორფოლოგიური შემადგენლობისაა და რაიმე სახის სპეციალური ღონისძიებების გატარებას მშენებლობის პერიოდში არ საჭიროებს. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას ცალსახად დადებით რეკომენდაციას ვაძლევ.

დამოუკ. ექსპერტი,
საინჟ. მეცნ. დოქტორი:
მობ. 593 28 34 58

ჯ. ვაშაკიძე

07.11.2023